31/07/2025

MES 9 25 0000935514

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 17 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

მაია თოიძე
ზაირა ბერიძე
გიული გურგენიძე
იაზონ დანელია
გივი დოლიძე
ზაზა პაპიძე
თამარ გიორგობიანი
ირმა ქორთუა
თინათინ ბურძენიძე
ქეთევან ღვანიძე
ბარბარე გონაშვილი
ზურაბ მესხიძე
ნანა შარაბიძე
ჯილდა აბაშიძე
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
თეა ბარამაშვილი
თორნიკე თუთარაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "ერქვანი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ფრიდონ ბუაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - დარეჯან ჭელიძე.

შპს ინტერბიზნესის აკადემია
დირექტორი ინგა მანაშერიძე;
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ნაზო წიბლიაშვილი.

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
გენერალური დირექტორი- ნინო ჩიკვაშვილი;
აღმასრულებელი დირექტორი - ნათია კილაძე;
ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების სამსახურის უფროსი - თიესა მორჩაძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - თამთა კობახიძე;
პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსი - სალომე ქაჯაია.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი
1. სსიპ - კოლეჯის "ერქვანი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვ
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: სსიპ - კოლეჯის "ერქვანი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია თოიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანში" ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 აპრილის №447169 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: ზაირა ბერიძე (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), იაზონ დანელია (დარგის ექსპერტი), გივი დოლიძე (დარგის ექსპერტი), გიული გურგენიძე (დარგის ექსპერტი) და ზაზა პაპიძე (დარგის ექსპერტი) განახორციელა სსიპ კოლეჯ ერქვანის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. დაწესებულება განმეორებით გადის ავტორიზაციის პროცესს და ცენტრში თვითშეფასებით წარმოადგინა 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტი განხორციელდა ქალაქ ამბროლაურში, 2025 წლის 03 -05 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ვიზიტზე იმყოფებოდნენ 2025 წლის 03-05 ივნისს. დარგის ექსპერტები: ზაზა პაპიძე და გივი დოლიძე ვიზიტზე იმყოფებოდნენ 2025 წლის 04 ივნისს, ხოლო დარგის ექსპერტები: გიული გურგენიძე და იაზონ დანელია - 2025 წლის 05 ივნისს. დარგის ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი თვითშეფასება თანდართული მტკიცებულებებით და ვიზიტის პერიოდის (3 დღე) გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია და გამოითხოვა დაწესებულების მიერ თვითშეფასებაში ასახულ მექანიზმთა დანერგვის მტკიცებულებები, ძირითადად ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით, რაც დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნა . მეორე სტანდარტთან მიმართებით მტკიცებულებები კი, პროგრამების შესაბამისად, შესწავლილი იქნა ადგილზე. მტკიცებულებათა წინმსწრებად გამოთხოვამ და შესწავლამ ხელი შეუწყო ადმინისტრაციული

პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ ვიზიტის პროცესში ძირითადი დრო დაეთმო ინტერვიუებს ადმინისტრაციასთან, განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადგილზე რესურსების შეფასებას. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას შეიცვალა დღის წესრიგი. კერძოდ, ვიზიტის პირველივე დღეს დადგინდა რომ დაწესებულების ყველა პროგრამა ხორციელდება იმიტირებული ფორმით და ელექტროობისა და მშენებლობის მიმართულების პროგრამებში მითითებულ 2 პარტნიორთან კოლეჯს მხოლოდ ინფო ტურზე მიჰყავს პროფესიული სტუდენტები. შესაბამისად აღნიშნულ კომპანიებში ვიზიტი არ განხორციელებულა. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა ორ მისამართზე: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N10; ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქუჩა N10, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ჩატარდა არაერთი ინტერვიუ. ელექტროობის პროგრამის ფარგლებში განათლებისა და დარგის ექსპერტი დაესწრნენ მეცადინეობას და შეაფასეს პროცესი. ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი გასცემდა უკუკავშირს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა. გაცემულია შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციები. ექსპერტთა საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობისა (III ნაწილი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ელექტროობა, იატაკის და ფილის სამუშაოები, თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა და ბუღალტრული აღრიცხვა მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის (X ნაწილი) ცხრილების სახით.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას დანერგილი აქვს პროფესიულ სტუდენტებისთვის, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ლეპტოპების გადაცემის პრაქტიკა. მსგავსი პრაქტიკა სხვა დაწესებულებებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში სპეციალურად აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია 10 ლეპტოპი და საშინაო დავალების შესასრულებლად, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტს გააქვს ლეპტოპი ბიბლიოთეკიდან მსგავსად სასწავლო რესურსისა და აბრუნებს მას დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით თავიანთი კმაყოფილება დააფიქსირეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4. 2.1 (1) - პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა და წარმოადგინა ,, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება, რომლის თანახმად, მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში კოლეჯი, პოლიტიკის დოკუმენტის

შესაბამისად, შეიმუშავებს პერსონალის შეფასების მეთოდოლოგიას და 2025 წლის 29 ნოემბრამდე დაასრულებს პერსონალის შეფასების პროცესს. კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, მაქსიმუმ 6 თვის ვადაში უზრუნველყოს პერსონალის შეფასება.
5.1.2 (3) - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი თვითშეფასების განაცხადით კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომელიც არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა (სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება). რომლის თანახმად კოლეჯი მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცებას. კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, მაქსიმუმ 6 ვადაში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით
1.1.1 (2) - მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან 2025 წელს კოლეჯმა უნდა დაამტკიცოს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ამ მიმართულებით უკვე მუშაობს ჯგუფი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს კოლეჯის მისიას და უფრო მეტად მიუახლოოს ის კოლეჯ ერქვანის უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას რაჭა- ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში, რეგიონში - სადაც მოსახლეობის მიგრაცია ყველაზე მაღალია. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში.) ბმაშია (1.1.1. (3).
1.1.1.(3). დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ღირებულებების ნაწილში გააძლიეროს ორი მიმართულება: • სოციალური პასუხისმგებლობა რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის მიმართ; • ინკლუზიური და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
1..2.1 (1) - პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას კოლეჯის ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“ არ ითვალისწინებს მინიმალურ ვადას რა პერიოდშიც უნდა დაიწყოს დაწესებულებამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება არსებულის გეგმების ვადის გასვლამდე.
კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვასთან დაკავშირებით - რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ცალსახად განისაზღვროს, რომ სტრატეგიული გეგმის მომდევნო ციკლზე მუშაობა დაიწყოს არანაკლებ 6 თვით ადრე მოქმედი სტრატეგიის ვადის დასრულებამდე. ანალოგიური რეკომენდაცია ვრცელდება სამოქმედო გეგმების შემუშავებაზეც – საჭიროა მეთოდოლოგიაში აისახოს მითითება იმ ვადაზე, რა დროით ადრე უნდა დაიწყოს მომდევნო წლის გეგმის შემუშავება.

1..2.1 (1)-1.2.1 (3) სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმაში თითოეულ მიზანს მითითებული უნდა ჰქონდეს თავისი ამოცანა, განსაზღვრული უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი აქტივობები, რესურსები, შესრულების ვადა, ინდიკატორები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების სეგმენტში პასუხისმგებელ პირთან ერთად შემსრულებელი პირების განსაზღვრას. ეს ხელს შეუწყობს პროცესების გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას და სამუშაოს შესრულების ეფექტურ მართვას.
1..2.1 (3) - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. სამოქმედო გემაში ცალკეული ინდიკატორი იმგვარად არის ფორმულირებული რომ სრულად ვერ ასახავს მიღწევას. რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში არსებული ინდიკატორები წარმოადგენდეს ზუსტი შეფასების შესაძლებლობას — იყოს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი, მიზნებზე და შედეგებზე ორიენტირებული ინდიკატორები უნდა იძლეოდეს მიღწევის შეფასების შესაძლებლობას, მაგალითად: მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, შესრულებული აქტივობების მაჩვენებლები ან სპეციფიკური შედეგების აღწერა.
4.1.1 (2) პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას კოლეჯის სტრუქტურაში დომინირებს ვერტიკალური დაქვემდებარება – თითქმის ყველა თანამშრომელი ექვემდებარება დირექტორს. კოლეჯის ორგანიზაციული მართვის გაძლიერების და განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლისთვის რეკომენდებულია დელეგირების სისტემის გაძლიერება, კერძოდ, რეკომენდებულია გაძლიერდეს მენეჯმენტის შუა რგოლი (დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი). (დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში.)
5.2.3 (1) - პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს ვიზიტის პერიოდში ვებ. გვერდზე განთავსებული იყო ძალიან დიდი მოცულობის ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც რეალურად მხოლოდ ავტორიზაციის პროცესისთვის იყოს განკუთვნილი და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის (პროფესიული სტუდენტებისთვის, მშობლებისთვის, დამსაქმებლებისთვის) ძნელად გასაგებია ან საერთოდ არ არის რელევანტური. რეკომენდებულია კოლეჯმა მიზანმიმართულად გახედოს ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაციის შინაარსსა და ვებ. გვერდზე განთავსდეს დაინტერესებული მხარეებისთვის რელევანტური ინფორმაცია – გამარტივებული და მომხმარებელზე ორიენტირებული ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორიცაა: პროფესიული პროგრამები, მიღების წესები, პრაქტიკის შესაძლებლობები, კარიერული მხარდაჭერა, პარტნიორობა დამსაქმებლებთან და სხვა. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ვებსაიტის როგორც კომუნიკაციის, ისე მარკეტინგული ინსტრუმენტის ფუნქციის გაძლიერებას და მისი ამოყენებადობის გაზრდას ფართო აუდიტორიისთვის.

ბ. მეორე სტანდართან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები (გაცეულია ყველა პროგრამასთან მიმართებით).
2.2.1.2 - განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც. ზოგადი რეკომენდაცია

ცალკეულ დოკუმენტებში ფიქსირდება ტექნიკური ხასიათის შეცდომები და დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს შეცდომები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში).

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ერქვანის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის 122/ნ ბრძანების თანახმად, კოლეჯის იურიდიული მისამართია ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ N10. გარდა ამისა, 2017 წლს კოლეჯს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული აქვს ფართი მისამართზე - ქ. ამბროლაური გურგენიძის ქ N10, სადაც განთავსებულია სამშენებლო მიმართულების პროგრამების სასწავლო ფართები (შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წელს და სასწავლო პროცესი აღნიშნულ მისამართზე დაიწყო 2022 წელს). საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერებით. შესაბამისად, კოლეჯი საქმიანობას წარმართავს ორ მისამართზე. დაწესებულების ფართების აზომვითი ნახაზების ანალიზითა და შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია შემდეგი ფართების არსებობა: ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ N10 - სასწავლო ფართები: 5 - A/B გარემო, 2 A გარემო, დარგობრივი სპეციფიკის G გარემო (ელექტროობის პროგრამისთვის), ბიბლიოთეკა/ სამკითხველო დარბაზი, სივრცე არქივისთვის, სივრცეები ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვის, მედ. პუნქტი, კვების სივრცე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია, საწყობი, 2 სანიტარიული კვანძი, მათ შორის, შშმ პირთათვის ადაპტირებული, ფოიე- სივრცე სტუდენტებისთვის. ქ. ამბროლაური გურგენიძის ქ N10 - 2 თეორიული სწავლების აუდიტორია, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი 2 სახელოსნო, სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის, 4 სანიტარიული კვანძი, მათ შორის, შშმ პირთათვის ადაპტირებული, ფოიე, დერეფნები. ორთავე მისამართზე შენობა ადაპტირებულია. ძირითადი შენობა არის ორსართულიანი და შენობაში არის ლიფტი შშმ პირთა გადაადგილების მიზნებისთვის. ყველა ფართი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება ბალანსზე დარიცხული მატერიალური რესურსის ჩამონათვალითა და შესყიდვების დოკუმენტაციით. საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად, ორთავე მისამართზე კოლეჯი ფართებს და სასოფლო სამეურნეო მიწებს ფლობს უვადოდ. გამონაკლისია გურგენიძის ქუჩაზე 200 კვ. მ (ამონაწერი - N 86.19.23.040) 99 წლის ვადით (გურგენიძის ქ. №10 – 2000 კვ. მ.) შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულებას დანერგილი აქვს პროფესიულ სტუდენტებისთვის, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ლეპტოპების გადაცემის პრაქტიკა. მსგავსი პრაქტიკა სხვა დაწესებულებებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში სპეციალურად აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია 10 ლეპტოპი და საშინაო დავალების შესასრულებლად, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტს გააქვს ლეპტოპი ბიბლიოთეკიდან მსგავსად სასწავლო რესურსისა და აბრუნებს მას დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით თავიანთი კმაყოფილება დააფიქსირეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა. ორთავე მისამართზე დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებით და გათბობის საფასურის გადახდის მტკიცებულებებით. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ცეცხლფარეშის პოზიცია, რომელიც, სამუშაო აღწერილობის თანახმად, პასუხისმგებელია ზამთრის სეზონზე გათბობის სისტემების გამართულ მუშაობაზე. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების

უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. ორთავე მისამართზე შენობა-ნაგებობაში გამიჯნულად არის მოწყობილი სანიტარული კვანძები, შესაბამისი მინიშნებებით, მუდმივი წყლით, არის უწყვეტი განათება, ვენტილაცია, შშმ პირთათვის გადაადგილებისა და ადაპტირებული სველი წერტილების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. სველ წერტილებში განთავსებულია ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა (სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება). რომლის თანახმად კოლეჯი მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცებას. შესაბამისად, კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, დაიცვას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა და მაქსიმუმ 6 თვეში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება. შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კოლეჯს ჯამში გააჩნია 154 კომპიუტერი (პერსონალური - 51; ლეპტოპი - 103). აღნიშნული რესურსი საკმარისია პროგრამებზე სწავლების წარმართვისა და ადმინისტრაციული პროცესებისთვის. 10 ლეპტოპი განთავსებულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის IT ტექნიკის ფლობა დასტურდება ბალანსზე აღრიცხული რესურსის ჩამონათვალით, მიღება-ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირთან, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობისა და IT ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებით კოლეჯის პოლიტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითა და პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს გზით. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კოლეჯს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. ბოლო რედაქციით წესი დამტკიცდა 2020 წელს. წესში გათვალისწინებულია ელექტრონული საქმისწარმოების (Eflow) წარმართვა. წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. კოლეჯს აქვს ვებგვერდი www.erkvani.ge და სოციალური ქსელის გვერდი (Facebook - სსიპ კოლეჯი ერქვანი). ვებ. გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; ინფორმაცია პერსონალის შესახებ; ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ; ინფორმაცია კოლეჯში მიმდინარე მთავარი სიახლეების შესახებ; მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები; ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის; პროფორიენტაცია და კარიერა; კოლეჯის პროგრამების კატალოგი.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. მათი განმარტებით, სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება კოლეჯის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და პირიქით, ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის დაგეგმვის პროცესში ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებისა და წყაროების განსაზღვრა. ამგვარად, საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით და ასევე, გააჩნია საკუთარი სახსრები, მიზნობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელებას უზრუნველყოფს მის მფლობელობაში არსებულ შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე დაყრდნობით. კოლეჯს გააჩნია ორი ტიპის სასწავლო გარემო: თეორიული სწავლებისთვის (A/B გარემო) და პროფესიული უნარების პრაქტიკული განვითარებისთვის სპეციალიზებული სამუშაო სივრცე (C გარემო), რომლებიც სრულად აღჭურვილია მოდულებით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად. გათვალისწინებულია სტანდარტის მოთხოვნა 1 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 3 კვ.მ. მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ვიზუალური დათვალიერებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დანართი N1 – „პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ“ დასტურდება, რომ ყველა საგანმანათლებლო სივრცისა და ინვენტარის არსებობა. მათ შორის: • ელექტრო ინსტალაციის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ელექტრო ფარებით, ამძრავებითა და ელექტრონული მოწყობილობებით; • სამუშაო სტენდები და დიაგნოსტიკის ხელსაწყოები სხვადასხვა ტიპის ელექტროსისტემების ტესტირებისთვის; • ინდივიდუალური სამუშაო კუთხეები პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ხარისხიან პრაქტიკულ საქმიანობას; • ინტერნეტზე ხელმისაწვდომი რესურსები და ელექტრონული სასწავლო მასალები, რომლებიც დამატებით უწყობენ ხელს ცოდნის გაღრმავებას. მატერიალური რესურსების ფლობის მტკიცებულებად წარმოდგენილია ბალანსზე დარიცხული რესურსის ჩამონათვალი და შესყიდვის მტკიცებულებები. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 12 სტუდენტს, შეეფერება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. პროგრამით სულ გათვალისწინებულია 6 განმახორციელებელი. 3 (სამი) დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც შეესაბამება მიმდინარე ნაკადების მოცულობასა და აკადემიური პროცესის საჭიროებებს. ზოგადი მოდულების ფარგლებში ასევე, დასაქმებულია შესაბამისის კომპეტენციების მქონე 3 მასწავლებელი. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი დარგის

ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების ფორმა თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც კოოპერაციული სწავლება. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხილის გადამამუშავებელ საწარმოსთან — შპს „გეო-ფლაუერი“. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტების ჩართვა ხორციელდება მხოლოდ მოდულ „გაცნობითი პრაქტიკის“ ფარგლებში. კერძოდ, ორგანიზებულია ერთჯერადი ვიზიტი საწარმოში, რომლის მიზანია ორგანიზაციული სტრუქტურის და საწარმოს საქმიანობის ზედაპირული გაცნობა. სასწავლო პროცესის წარმართვა საწარმოს ბაზაზე არ ხორციელდება. დაგეგმილი სასწავლო ექსკურსია არ ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას საწარმოს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, რაც გამორიცხავს კოოპერაციული სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტებს — პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში, განმეორებადობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს, ხოლო მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობას. აღნიშნული პრაქტიკის ფორმატი სტუდენტს გარკვეულწილად აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ზოგადი წარმოდგენა რეალურ საწარმოო გარემოზე, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებას იმ სიღრმითა და ინტენსივობით, რაც კოოპერაციული სწავლებისთვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არსებული პრაქტიკის აღწერის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ფორმად შეფასებულ იქნებოდა იმიტირებულ გარემოში განხორციელებული სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, მოცემული შეფასება არ მიუთითებს პროცესის დარღვევაზე, არამედ უკავშირდება მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფორმის შინაარსობრივ შესაბამისობას. დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის გურგენიძის ქ. №10 სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია ორი A/B და C სასწავლო გარემო. ფართები აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია რესურსების ფლობა. კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და

რესურსების განახლებაში. მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 15 სტუდენტს, შეესაბამება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით. პროგრამით სულ გათვალისწინებულია 11 განმახორციელებელი, მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 8- ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოდულების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი დარგის ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც. დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა არსებობს პრაქტიკა სხვა პროგრამის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მისი გაზიარება წინამდებარე პროგრამის ფარგლებშიც. დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების ფორმა თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც კოოპერაციული სწავლება. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანიასთან ი.მ "ზურაბ ჭელიძე". თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტების ჩართვა ხორციელდება მხოლოდ მოდულ „გაცნობითი პრაქტიკის" ფარგლებში. კერძოდ, ორგანიზებულია ერთჯერადი ვიზიტი საწარმოში, რომლის მიზანია ორგანიზაციული სტრუქტურის და საწარმოს საქმიანობის ზედაპირული გაცნობა. სასწავლო პროცესის წარმართვა საწარმოს ბაზაზე არ ხორციელდება. დაგეგმილი პრაქტიკული აქტივობა არ ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას საწარმოს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, რაც გამორიცხავს კოოპერაციული სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტებს — პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში, განმეორებადობასა და

თანმიმდევრულობას. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს, ხოლო მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობას. აღნიშნული პრაქტიკის ფორმატი სტუდენტს გარკვეულწილად აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ზოგადი წარმოდგენა რეალურ საწარმოო გარემოზე, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებას იმ სიღრმითა და ინტენსივობით, რაც კოოპერაციული სწავლებისთვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არსებული პრაქტიკის აღწერის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ფორმად შეფასებულ იქნებოდა იმიტირებულ გარემოში განხორციელებული სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, მოცემული შეფასება არ მიუთითებს პროცესის დარღვევაზე, არამედ უკავშირდება მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფორმის შინაარსობრივ შესაბამისობას. დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის გურგენიძის ქ. №10 სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია ორი A/B და C სასწავლო გარემო. ფართები აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია რესურსების ფლობა. კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში. მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში - მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 15 სტუდენტს, შეესაბამება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით. პროგრამით სულ გათვალისწინებულია 11 განმახორციელებელი, მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 8- ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოდულების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების

პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითარების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელური იყო6 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაშიც. დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების ფორმა თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც კოოპერაციული სწავლება. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანიასთან ი.მ "ზურაბ ჭელიძე". თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტების ჩართვა ხორციელდება მხოლოდ მოდულ „გაცნობითი პრაქტიკის" ფარგლებში. კერძოდ, ორგანიზებულია ერთჯერადი ვიზიტი საწარმოში, რომლის მიზანია ორგანიზაციული სტრუქტურის და საწარმოს საქმიანობის ზედაპირული გაცნობა. სასწავლო პროცესის წარმართვა საწარმოს ბაზაზე არ ხორციელდება. დაგეგმილი პრაქტიკული აქტივობა არ ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას საწარმოს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, რაც გამორიცხავს კოოპერაციული სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტებს — პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში, განმეორებადობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს, ხოლო მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობას. აღნიშნული პრაქტიკის ფორმატი სტუდენტს გარკვეულწილად აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ზოგადი წარმოდგენა რეალურ საწარმოო გარემოზე, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებას იმ სიღრმითა და ინტენსივობით, რაც კოოპერაციული სწავლებისთვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არსებული პრაქტიკის აღწერის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ფორმად შეფასებულ იქნებოდა იმიტირებულ გარემოში განხორციელებული სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, მოცემული შეფასება არ მიუთითებს პროცესის დარღვევაზე, არამედ უკავშირდება მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფორმის შინაარსობრივ შესაბამისობას. დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა"

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის ვაჟა ფშაველას №10 სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია შესაბამისი გარემო, აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. სასწავლო გარემოში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A/ B გარემო, სადაც

განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 15 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამა (ORIS). პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ORIS) პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ მატერიალურ რესურს. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში. მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 15 სტუდენტს, შეეფერება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. პროგრამით სულ გათვალისწინებულია 7 განმახორციელებელი, მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. მასწავლებელთა რაოდენობა შეესაბამება მიმდინარე ნაკადების მოცულობასა და აკადემიური პროცესის საჭიროებებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია შესაბამისი A/ B სასწავლო გარემო (რომელიც ამავდროულად C გარემოც არის), აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე

პროფესიული სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში. მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ქსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 14 სტუდენტს, შეეფერება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. პროგრამით სულ გათვალისწინებულია 11 განმახორციელებელი, ამათგან 5 (ხუთი) დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელია, ხოლო 6 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოდულების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელური იყო 6 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაშიც. სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, როგორც დასკვნაში, ასევე, პრეზენტაციებში ყველაფერი დეტალურად და გასაგებად იყო გადმოცემული და მას კითხვები ექსპერტებთან არ ჰქონდა, საბჭოს წევრებმაც აღნიშნეს, რომ ექსპერტებთან კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარე კითხვით მიმართა კოლეჯის დირექტორს, მათ სტრუქტურაში ცეცხლფარეშის შტატის არსებობა რას ემსახურებოდა, ეხლანდელი გათბობისა და გაგრილების სისტემების მომსახურებას ასეთი თანამდებობის პირს არ საჭიროებს, ეს ფუნქცია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირმა შეიძლება შეითავსოს, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ეს ტერმინი იმ დროიდან მოდის, როცა კოლეჯებში საქვაბეები იყო, მერე საშტატოს სტრუქტურის დამტკიცების დროს შენიშვნა არავის მოუცია, ალბათ უფრო სწორია ამ ფუნქციის ადამიანს გათბობა-გაგრილების სისტემების ტექნიკოსის სახელი დაერქვას. თუმცა რეგიონის ზოგიერთ სკოლაში, ისე შეშის ღუმელებია და ცეცხლფარეშებიც ჰყავთ, საჯარო სკოლების სტრუქტურაში დღემდე არსებობს ასეთი შტატი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა კითხვა დაუსვა კოლეჯის წარმომადგენელებს, არსებული მიგრაციის პირობებში, რაიმე დამატებითი ღონისძიებების გატარება ხომ არა ჰქონდათ დაგეგმილი პროგრამების გაფართოების ან დასაქმების მიმართულებით რეგიონის ხელმძღვანელობასთან იმ მიზნით, რომ ახალგაზრდების მიგრაცია შემცირდეს.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობენ რეგიონის ხელმძღვანელობასთან, გრძელვადიანი გეგმები ამ ეტაპზე არა აქვს რეგიონს, თუმცა რეგიონის სამწლიანი გეგმების ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობა, აქცენტი კეთდება მომზადება-გადამზადების პროგრამების სპექტრის გაზრდაზე, რაც ზრდასრულთა დასაქმება/თვითდასაქმებას შეუწყობს ხელს. რეგიონში გადამამუშავებელი საწარმოები არ არის, თუმცა ბიზნეს ასოციაციის კვლევების საფუძველზე, ასევე, სატყეო მიმართულებით რეგულაციის დადგენის შემდეგ, ჰესების და სატყეო მიმართულების მოკლევადიანი პროგრამები დავიმატეთ, აღნიშნა კოლეჯის დირექტორმა, ასევე, უახლოეს მომავალში სატყეო მიმართულების ინტეგრირებული პროგრამების, ტურიზმის და აგრარული მიმართულების პროგრამების დამატებასაც ვფიქრობთ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ვინაიდან კოლეჯს 4.2.1.1 და 5.1.2.3 ინდიკატორები ჰქონდათ მეტწილად შესაბამისობაში და მათ წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2025 წლის 29 ნოემბრამდე აღნიშნული ინდიკატორების შესრულებას, შესაბამისად ჩაინიშნება მონიტორინგი დოკუმენტაციის გამოთხოვით, რომელიც განხორციელდება 4 დეკემბერს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - კოლეჯის "ერქვანი" ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად,, სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ:222934671) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ 4.2.1.1 და 5.1.2.3 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 4 დეკემბერი.

მეორე საკითხი: შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს, ჰქონდა შპს ინტერბიზნესის აკადემიასთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ გიორგობიანი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 08 აპრილის N391596 და 2025 წლის 29 აპრილის ბრძანებების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - თამარ გიორგობიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ქორთუა - ექსპერტთა ჯგუფის

წევრი, თინათინ ბურძენიძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ია გელენიძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ინგა ბაქრაძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ქეთევან ღვანიძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, მაია ხურცილავა - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ბარბარე გონაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ზურაბ მესხიძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, დაევალა შპს ინტერბიზნესის აკადემიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №7) 2025 წლის 13 – 16 მაისის პერიოდში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის საფუძველზე. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანებების საფუძველზე, თამარ გიორგობიანმა, ირმა ქორთუამ და თინათინ ბურძენიძემ ვიზიტი განახორციელეს 2025 წლის 13, 14, 15, 16 მაისს, ინგა ბაქრაძემ, ქეთევან ღვანიძემ, მაია ხურცილავამ და ბარბარე გონაშვილმა 15 მაისს, ხოლო ია გელენიძემ და ზურაბ მესხიძემ 2025 წლის 16 მაისს. ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ფინანსურ რესურსებზე, კარიერის დაგეგმვაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, საქმისწარმოებასა და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტის რეკომენდაცია

1.2.1.1 რეკომენდებულია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ყველა ის ეტაპი და პროცესი, რასაც რეალურად ახორციელებს კოლეჯი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე, კერძოდ: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები, მისია, ხედვა და ღირებულებებში ცვლილების შეტანის წესები.
1.2.1.3 იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში ადგილი აქვს სტრატეგიული ამოცანების და აქტივობების ერთმანეთში არევის და ინდიკატორების არასათანადოდ ფორმულირების ცალკეულ შემთხვევებს, რეკომენდებულია, კოლეჯის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფმა სწორად გაიაზროს სტრატეგიული ამოცანის, აქტივობისა და ინდიკატორების არსი და სათანადო ფორმულირებით ჩამოაყალიბოს აღნიშნული კომპონენტები.

IV სტანდარტის რეკომენდაცია
4.1.1.1 იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფორმულირებაში მცირედი უზუსტობები ფიქსირდებოდა, რომლის ნაწილი კოლეჯმა ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა, ნაწილის გათვალისწინებას კი აკადემია ადამიანური რესურსების მართვის ახალი მენეჯერის მოყვანის შემდეგ გეგმავს, რეკომენდებულია, კოლეჯმა უკეთ გაიაზროს სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქცია - მოვალეობების არსი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
4.1.2.1 ვინაიდან შრომით ხელშეკრულებებსა და შინაგანაწესში შრომის კოდექსის მუხლები განმარტების გარეშეა მითითებული, რაც დასაქმებულისთვის აღნიშნული მუხლების

მოძიებისა და გაცნობის მიზნით ზედმეტ რუტინას მოითხოვს, რეკომენდებულია, შრომის კოდექსის მუხლების ნუმერაციის ნაცვლად, შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებაში გადმოტანილ იქნეს შესაბამისი განმარტებები, შინაგანაწესის 9.5 მუხლით განმარტებულია, რომ „სამუშაოზე არასაპატიოდ დაგვიანების ან/და სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევებში, აკადემია უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები“. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნული სიტუაციისთვის არ განსაზღვრას დისციპლინურ ღონისძიებებს, რომლის დაცვა ყველა კომპანიისთვის სავალდებულოა, რეკომენდებულია, ნაცვლად „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებისა“, ჩაიწეროს „შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური ზომები“. ტექნიკური სახის შეცდომებია და ბუნდოვანი განმარტებებია შინაგანაწესში, რაც შეიძლება შეცდომაში შემყვანი გახდეს თანამშრომლისთვის, მაგალითად: მუხლი 11.1 განსაზღვრავს, რომ თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, ის ვალდებულია ქონება დაუბრუნოს დირექტორს, ხოლო მუხლი 20.2-ის მიხედვით, გათავისუფლებისას პირი ვალდებულია შემოვლის ფურცლის საფუძველზე ქონება დაუბრუნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. 10.7 მუხლის მიხედვით, „ერთი თვის განმავლობაში, არასაპატიო მიზეზით, დასაქმებულის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დირექტორი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ხოლო 10.9 მუხლის მიხედვით „არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებულს დაექვითება შრომის ანაზღაურება გაცდენილი დროის შესაბამისად“. მსგავსი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია, დაკორექტირდეს შესაბამისი მუხლები.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციით (2025 წლის 24 ივნისის N9733 წერილი) იკვეთება, რომ კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციას 1.2.1.1 სტანდარტთან - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმების, მისია, ხედვა და ღირებულებებში ცვლილების შეტანის წესების დეტალურად ასახვასთან მიმართებით. ასევე სრულად იზიარებს ექსპერტების რეკომენდაციას 4.1.2.1 სტანდარტის - შინაგანაწესის 9.5, 20.2, 10.7 და 10.9 მუხლებში არსებულ ტექნიკურ უზუსტობების კორექტირებასთან დაკავშირებით (არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვის რეკომენდაციების გათვალისწინების მტკიცებულებები).

კოლეჯმა ნაწილობრივ გაითვალისწინა 4.1.2.1 სტანდარტის შრომის კოდექსის მუხლების ნუმერაციის ნაცვლად, შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში განმარტებების გადმოტანასთან დაკავშირებული რეკომენდაცია და განმარტა, რომ კოლეჯის შრომით ხელშეკრულებებში სრულადაა გაწერილი ყველა არსებითი პირობა, გარდა მე-6 პუნქტისა (ხელშეკრულების შეწყვეტა), სადაც მითითებულია შრომის კოდექსის 47-ე (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები) და 48 -ე (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) მუხლები, ამასთან, დაწესებულება აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებაში შრომის კოდექსის მუხლების ჩაწერა, მიღებული პრაქტიკაა, ხოლო შრომის კოდექსის აღნიშნული მუხლები ჩაშლილია პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევში და განთავსებულია ვებ-გვერდზე, თუმცა, კოლეჯი გამოთქვამს მზაობას, გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია 2025 წლის ბოლოს, როდესაც შეიცვლება პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

1.2.1.3 სტანდარტის რეკომენდაციას კოლეჯის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ სტრატეგიული ამოცანის, აქტივობისა და ინდიკატორების არსის სწორად გააზრებასა და სათანადო ფორმულირებით ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დაწესებულება გეგმავს, რომ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს, ანალოგიური ხედვა აქვს კოლეჯს 4.1.1.1 სტანდარტის - პერსონალის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფორმულირებაში მცირედი უზუსტობების გამო სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობების არსისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების უკეთ გააზრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, აკადემია განმარტავს, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის შემდეგ გაითვალისწინებს. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება შპს ინტერბიზნესის აკადემიის მზაობას, დაწესებულების განვითარების მიზნით ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასა და გათვალისწინებასთან დაკავშირებით, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ N99ნ ბრძანების 38-ე მუხლის მე - 9 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიღებს მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე თანდართულ მასალას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, შპს ინტერბიზნესის აკადემიას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ტერიტორიის, დერეფნების, სალექციო ოთახების, ლაბორატორიების, სველი წერტილების/ტუალეტების დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარების პროცედურებსა და პერიოდულობას. ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო პერიოდში კოლეჯში ყოველდღიურად უნდა მოხდეს საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. დაიხვეტოს იატაკი, გაიწმინდოს მტვრიანი ადგილები (ფანჯრისრაფები, რადიატორები, მერხები და სხვა. კვირაში სამჯერ უნდა მოხდეს კოლეჯის ტერიტორიის იატაკის სველი წესით მორეცხვა და დასუფთავება, თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს კოლეჯის გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. სველი წერტილების დასუფთავება უნდა მოხდეს სათანადო წესით ყოველდღიურად, ეპიდსიტუაციის მიუხედავად. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ყოველდღიურ დეზინფექციას ექვემდებარება ყველა ოთახი, სადაც გამოვლინდა დაავადების შემთხვევა. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა კერაში დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების მითითებების შესაბამისად დაავადების კერის ლიკვიდაციამდე. ნაგვის ურნების დაცლა უნდა მოხდეს ყოველ დღე სამეცადინეო პროცესის დასრულების შემდეგ ან საჭიროებისამებრ. საყოფაცხოვრებო, სასწავლო და საოფისე ნარჩენები უნდა მოთავსდეს სპეციალურ კონტეინერებში და უნდა იქნას უტილიზებული ქალაქის მუნიციპალიეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. შპს ინტერბიზნესის აკადემიას შემუშავებული აქვს კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით დამტკიცებული დებულებათა კრებული, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალა/ნედლეულის შეძენა, შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურას. კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის წარდგენას დირექტორისათვის მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო შესყიდული მასალა-ნედლეული მოდულის დაწყებამდე და გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურს. სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოფს მასალა/ნედლეულის მოდულის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას. აკადემია პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულის მასალა/ნედლეულის შეძენას არ ახორციელებს. კოლეჯმა წარმოადგინა მასალა-ნედლეულის მიღება-ჩაბარების აქტები. აკადემიის შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ 1 – 5 სართულებზე განლაგებულია გამიჯნული სანიტარული კვანძები (მეორე სართულზე მდებარეობს ადაპტირებული სანიტარული კვანძი შშმ პირებისათვის), რომლებიც მარაგდება წყლით, დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდება ელექტრო ენერგია, ფუნქციონირებს ვენტილაცია, სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

ექსპერტის განცხადებით, შპს ინტერბიზნესის აკადემია მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქმიანობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიით. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო კომპიუტერული პროგრამით, რომლებიც ემსახურება დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შუფერხებელ წარმართვას. კომპიუტერებში ჩატვირთულია საფინანსო სერვისების პროგრამისთვის ალტასოფტის პროგრამა საბანკო ოპერაციების პროგრამულად უზრუნველსაყოფად; ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისთვის საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ დემო ვერსია. ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამისთის გამოიყენება 1.Virtual Box, 2. Vmware და 3. Packet Tracer. აკადემიაში უზრუნველყოფილია შუფერხებელი ინტერნეტ კავშირი, ხელმისაწვდომია როგორც საკაბელო, ისე უკაბელო ინტერნეტი. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, შპს ინტერბიზნესის აკადემია ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების ერთიანი წესით, აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge), სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოების მენეჯერი, რომელთან გასაუბრებითა და ფაქტობრივი მდგომარეობით დადგინდა, რომ დაწესებულება ინფორმაციას რეესტრში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის N11/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ასახავს.

ექსპერტის განცხადებით, შპს ინტერბიზნესის აკადემიაში დირექტორის 2022 წლის 03 ნოემბრის N01-37 ბრძანებით დამტკიცებულია ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურების დოკუმენტი, რომლის მიზანია აღწეროს შპს ინტერბიზნესის აკადემიის (შემდეგში აკადემიის) ბიუჯეტის შემუშავებისა და მონიტორინგის ძირითადი მოთხოვნები და სამუშაოები, მასში ჩართული მხარეები და მათი უფლება-მოვალეობები. კოლეჯის ფინანსურ მენეჯერსა და ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დოკუმენტი გამოიყენება აკადემიის მიერ ბიუჯეტირების, მონიტორინგისა და კორექციის პროცესებისთვის. ბიუჯეტი მთავარი საფინანსო დოკუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსების მართვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას, შედგენას, მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს აკადემიის წარმატებასა და საგანმანათლებლო ფუნქციის უკეთესად განხორციელების შესაძლებლობას. კოლეჯის

ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლები და ხარჯები, რითიც ფუნქციონირებს დაწესებულება. აკადემიაში საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენის პროცესი იწყება სასწავლო პროცესის დაწყებამდე ორი თვით ადრე და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე მტკიცდება უკვე გაანალიზებული და საჯაროდ განხილული საპროგნოზო ბიუჯეტი. დირექტორი და ფინანსური მენეჯერი განიხილავენ წინა წლის საბოლოო ბიუჯეტს, განიხილავენ სამომავლო განვითარების პრიურიტეტებს და პერსპექტივებს, რათა ბიუჯეტის პროექტი სწორად ასახავდეს აკადემიის მისიას და მომავალი სასწავლო წლისთვის განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ყველა გადაწყვეტილება განხილული და შემუშავებულია აკადემიის ხარჯებთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან კავშირში. აკადემია განიხილავს საოპერაციო ხარჯებს - ფასების ცვლილებას საქონელსა და მომსახურებაზე, აკადემიის მოხმარების დონის ცვლილებას (კომუნალური, საექსპლუატაციო და სხვა), კაპიტალიზირებადი ხარჯის ზრდადობას; პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის აქტივობისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯს; სარეკლამო ხასიათის ხარჯს და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით კი მობილიზებას უწევს ფინანსურ რესურსებს და გეგმავს ბიუჯეტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“

იმის გათვალისწინებით, რომ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის 116 კრედიტიანი, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას აკადემიამ გაითვალისწინა, ის გარემოება, რომ პროგრამის 101 კრედიტი ანუ 87% ისწავლება A გარემოში, 3 კრედიტი ანუ 2,5% ისწავლება B გარემოში, ხოლო 12 კრედიტი, ანუ 12,5% - პრაქტიკის ობიექტზე. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში აკადემიაში სწავლება განხორციელდება დაწესებულების AB (აუდიტორია N502 32 პროფესიული სტუდენტის ადგილით), A (აუდიტორია N104 50 პროფესიული სტუდენტით) და A (აუდიტორია N401 25 პროფესიული სტუდენტის ადგილით) გარემოში, ზღვრული რაოდენობის ინსტრუქციის დოკუმენტი ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსსაც. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია მისი სასწავლო პროცესის მართვაში მონაწილეობა (კერძოდ: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, ასევე მისი სხვა პროგრამებზე დატვირთვაც რაც ჯამში არ აღემატება კვირეულ 40 საათს. კოლეჯს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (2 მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“) პრაქტიკის ობიექტზე განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის 4 საბავშვო ბაგა-ბაღთან (N9, N38, N63, N197), შესაბამისად, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 120 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა სასწავლო გარემო, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა აუდიტორიის დატვირთვის სქემა, რომელიც შეესაბამება პროფესიულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას. აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 14 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, 10 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება

კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი არსებითი პირობები და პუნქტები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდის“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს პრაქტიკის ოთხ ობიექტთან, თბილისი საბავშვო ბაგა-ბაღთან, რაც დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებით, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულის სახელწოდება და მისაღწევი სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია(სააფთიაქო)“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის თანახმად, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა შემდეგნაირად გამოიყურება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის 120 კრედიტიანი, საიდანაც 37კრედიტი ანუ 31% საჭიროებს A გარემოში, 3 კრედიტი ანუ 2,5% B გარემოში, ხოლო 80 კრედიტი ანუ 66,5% C გარემოში სწავლებას. C გარემოს 80 კრედიტიდან 18,5 კრედიტი ანუ 15,5% ისწავლება პრაქტიკის ბაზაზე, ხოლო 61,5 კრედიტი ანუ 51% ისწავლება აკადემიის 3 (სამი) AC გარემოში. კოლეჯს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული აქვს AC გარემო (აუდიტორია N202 – 25 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის), სადაც ჩატარდება პროგრამის 20 კრედიტი ანუ 17%, AC გარემო (აუდიტორია N205 – 25 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის), სადაც ჩატარდება პროგრამის 29 კრედიტი ანუ 24%, AC გარემო (აუდიტორია N303 – 25 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის), სადაც ჩატარდება პროგრამის 12,5 კრედიტი ანუ 10%. გარდა ამისა, პროგრამისთვის განსაზღვრულია AB გარემო (აუდიტორია N502 - 32 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის) და საჭიროების შემთხვევაში A(აუდიტორია N104 – 50 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის). ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდთან „საქართველოს კარიტასი“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მოდული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელდება მათ ბაზაზე. პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანიასთან შპს ,, პსპ ფარმა’’. ზღვრული რაოდენობის ინსტრუქცია ასევე ითვალისწინებს ადამიანურ რესურსსაც, რა დროსაც გათვალისწინებულია კვირეული დატვირთვა არა უმეტეს 40 საათისა. ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის,

საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "ფარმაცია(საფთიაქო)" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის შპს ,,პსპ-ფარმა"-წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება მათ აფთიაქებში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 150 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. სულ პროგრამას ახორციელებს 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 23 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 10 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა"

ექსპერტის განცხადები, იმის გათვალისწინებით, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის 99 კრედიტიანი, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას აკადემიამ გაითვალისწინა, ის გარემოება, რომ პროგრამის 47 კრედიტი ანუ 47% ისწავლება A გარემოში, ხოლო 52 კრედიტი -53% ისწავლება B გარემოში. წინამდებარე პროგრამაზე აკადემიაში სწავლება განხორციელდება დაწესებულების AB (აუდიტორია N302 20 პროფესიული სტუდენტის ადგილით), AB (აუდიტორია N502 32 პროფესიული სტუდენტის ადგილით) და A (აუდიტორია 304 16 პროფესიული სტუდენტის ადგილით) გარემოში, ზღვრული რაოდენობის ინსტრუქცია „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს დისტანციურ სწავლებასაც პროგრამის მოდულების/სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით. დოკუმენტი ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსსაც. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია მისი სასწავლო პროცესის მართვაში მონაწილეობა (კერძოდ: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, ასევე მისი სხვა პროგრამებზე დატვირთვაც რაც ჯამში არ აღემატება კვირეულ 40 საათს. კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. კოლეჯს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტრული აღრიცხვა") პრაქტიკის ობიექტზე განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები კომპანიებთან შპს „ფოლოუმი" და შპს „უნივერსალ-კონსალტინგი 22", რაც ძირითადად ამ კომპანიებში ექსკურსიების მოწყობასა და სამუშაო სპეციფიკის გაცნობას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები პარალელურად პროგრამაში ჩართული არიან პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსით.

შესაბამისად, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 სტუდენტით ორ ცვლაში. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა სასწავლო გარემო, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა აუდიტორიის დატვირთვის სქემა, რომელიც შეესაბამება პროფესიულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია,6 ზოგად მოდულსაც უძღვება და პროფესიულსაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და თავისუფალი წვდომით ატვირთულია აკადემიის ვებ-გვერდზე. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საკანონმდებლო ბაზაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის თანახმად, „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა შემდეგნაირად გამოიყურება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის 52 კრედიტიანი, საიდანაც 23.5კრედიტი ანუ 46% საჭიროებს B გარემოში, 28.5 კრედიტი ანუ 54% A გარემოში სწავლებას. კოლეჯს „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული აქვს AB გარემო (აუდიტორია N502 პროფესიული სტუდენტისთვის სათანადოდ აღჭურვილი 32 ადგილით) და A გარემო (აუდიტორია N503 პროფესიული სტუდენტისთვის სათანადოდ აღჭურვილი 30 ადგილით). პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სს ლიბერთი ბანკთან, სს კრედო ბანკთა, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან კრისტალი და სს გუდვილთან. თითოეული კომპანია უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას ერთდროულად. ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “საფინანსო სერვისები” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 60 პროფესიული

სტუდენტით ორ ცვლაში. სულ პროგრამას ახორციელებს 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 19 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 14 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის თანახმად, „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა შემდეგნაირად გამოიყურება: კოლეჯს „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული აქვს AB გარემო (აუდიტორია N402, AB (აუდიტორია N404) თითოეული 16 პროფესიული სტუდენტის ადგილით და საჭიროების შემთხვევაში A (აუდიტორია N401) პროფესიული სტუდენტისთვის სათანადოდ აღჭურვილი 25 ადგილით). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული დისტანციური სწავლების შესაძლებლობები, პროგრამის ჰიბრიდულად განხორციელებისათვის დაწესებულებას შეძენილი აქვს ზუმის პლატფორმა ლექციის უწყვეტად განსახორციელებლად, დომენი iba.edu.ge სტუდენტებისათვის და ჰოსტინგი (ვებ სივრცე) პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად. ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე Front-end დეველოპმენტი” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 48 პროფესიული სტუდენტით. სულ პროგრამას ახორციელებს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 10 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „Front-end დეველოპმენტი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი

იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქართულენოვანი საგანმანათლებლო რესურსი გარკვეულწილად დეფიციტურია. პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მუშაობენ ეგრეთ წოდებული ქართულენოვანი რიდერების შექმნაზე, რაც უფრო სრულყოფილს გახდის პროგრამის საგანმანათლებლო რესურსებს. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, მრავალფუნქციურ კომბაინ პრინტერს , რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ კოლეჯის ბაზაზე იმიტირებული მიდგომით განხორციელდება ამ ეტაპზე კოლეჯს პროგრამის ფარგლებში პარტნიორი კომპანია არ ჰყავს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის თანახმად, „საექთნო საქმე“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა შემდეგნაირად გამოიყურება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის 180 კრედიტიანი, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული რომ, 82 კრედიტი ანუ 45,5% საჭიროებს A გარემოში, 2 კრედიტი ანუ 1% B გარემოში, ხოლო 96 კრედიტი ანუ 53,5% საჭიროებს პრაქტიკის ბაზაზე სწავლებას, სწავლება იწარმოებს A (აუდიტორია N503 – 30 პროფესიული სტუდენტის ადგილით), A(სუდიტორია N401 – 25 პროფესიული სტუდენტის ადგილით) და AB (აუდიტორია N502 – 32 პროფესიული სტუდენტის ადგილით) გარემოში. კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ს/ს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრთან - 98 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე, შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრთან - 60 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე, სს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოსთან - 60 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე, შპს „თბილისის ფსიქუკური ჯანმრთელობის ცენტრთან - 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე და ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასს“ პრაქტიკული სწავლების მოდულების განსახორციელებლად - 50 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე. ზღვრული რაოდენობის ინსტრუქცია ასევე ითვალისწინებს ადამიანურ რესურსსაც, რა დროსაც გათვალისწინებულია კვირეული დატვირთვა არა უმეტეს 40 საათისა. კლინიკური სწავლებისათვის კლინიკიდან გამოყოფილ ერთ ექთნზე განსაზღვრულია 7 პროფესიული სტუდენტი. ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “საექთნო საქმე” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 90 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. სულ პროგრამას ახორციელებს 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 23 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ

მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი არსებითი პირობები და პუნქტები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „საექთნო საქმე“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, მრავალფუნქციურ კომბაინ პრინტერს , რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. კოლეჯს შეძენილი აქვს საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სხვადასხვა კომპანიასთან, კერძოდ: ს/ს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრთან, შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან, სს ვიანნიაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან, შპს „თბილისის ფსიქუკური ჯანმრთელობის ცენტრთან, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან“. ხელშეკრულებით დარეგულირებულია ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება და სხვა. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელებს, რომელმაც დაადასტურეს კოლეჯთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ასევე პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც გამოხატეს კმაყოფილება პრაქტიკის ბაზებზე პრაქტიკული სწავლების კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქციის თანახმად, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა შემდეგნაირად გამოიყურება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის 61 კრედიტიანი, საიდანაც 20 კრედიტი ანუ 32% საჭიროებს A გარემოში, 41 კრედიტი ანუ 68% B გარემოში სწავლებას. კოლეჯს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული აქვს AB გარემო

(აუდიტორია N402 პროფესიული სტუდენტისთვის სათანადოდ აღჭურვილი 16 ადგილით) და საჭიროების შემთხვევაში A გარემო (აუდიტორია N304 პროფესიული სტუდენტისთვის სათანადოდ აღჭურვილი 16 ადგილით). პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ ორგანიზაციასთან შპს „მაზერი“ და შპს Georgian Airlink”. თითოეული კომპანია უზრუნველყოფს 16 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას ერთდროულად. ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “ინფორმაციის ტექნოლოგია” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 16 პროფესიული სტუდენტით. სულ პროგრამას ახორციელებს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 12 ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ორ კომპანიასთან - შპს „მაზერი“ და შპს „Georgian Airlink“. ხელშეკრულებების საგანია პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის მოდულების/სწავლის შედეგების განხორციელების უზრუნველოყოფა. ხელშეკრულებაში დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც მომსახურებას გაუწევს კომპანია, მატერიალური რესურსი და სხვა.

ხარისხის ექსპერტებმა თამარ გიორგობიანმა და ირმა ქორთუამ ხაზი გაუსვეს კოლეჯის საქმიანობაში თანმიმდევრულობას, გუნდურობას, ინკლუზიური მიდგომების მაღალ დონეს, განსაკუთრებით აღინიშნა სტუდენტების კმაყოფილების მაღალ დონე. მათი თქმით, აშკარად ჩანდა კოლეჯის მიერ გაწეული დიდი სამუშაო. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ხშირად ხდება, რომ რაც მეტი სამუშაო აქვს კოლეჯს გაწეული, ექსპერტები მეტად მომთხოვნები არიან, თუმცა კოლეჯი ზოგიერთ რეკომენდაციას მაშინვე არ დაეთანხმა, აღნიშნეს ექსპერტებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში კარგად იყო გადმოცემული კოლეჯის პოზიცია ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაც აღნიშვნის ღირსია, რადგანაც კოლეჯი კარგად იაზრებს ყველა რეკომენდაციის არსს. თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, შინაგანაწესის ტექსტის დაზუსტება იყო პრობლემა, თუ რისკებს ხედავდნენ სამართლებრივ საკითხებში.

ექსპერტმა განმარტა, რომ სასურველია ერთ დოკუმენტში ხედავდეს კოლეჯის თანამშრომელი ყველა სამართლებრივ საკითხებს, რაც შრომით ურთიერთობას ეხება. შინაგანაწესში ბუნდოვანი ჩანაწერების გასწორება მისაღები იყო დაწესებულებისთვისაც. როგორც ექსპერტმა განმარტა, ადგილზე განხილულ იქნა კონკრეტული მაგალითები, სადაც იყო ორგვარი ჩანაწერები, რაც ჩასწორდა კოლეჯის მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რატომ არის ასეთი დიდი რაოდენობა სტატუს შეჩერებული და სტატუს შეწყვეტილი სტუდენტების და გამახვილდა თუ არა ამ საკითხზე ყურადღება ექსპერტების მხრიდან.

ექსპერტის განმარტებით, მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ბევრი დასაქმებული პროფესიული სტუდენტი ჰყავთ, რომლებსაც უჭირთ სასწავლო პროცესზე დასწრება და იჩერებენ ან იწყვეტენ სტატუსს. ეს საკითხი ნამდვილად არ უკავშირდება სტუდენტების მხრიდან რაიმე სახის უკმაყოფილებას, პირიქით, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კოლეჯი ყოველთვის ითვალისწინებს მათ საჭიროებებს.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ თვალში მოსახვედრია აქტიური და სტატუს შეჩერებული სტუდენტების ერთნაირი რაოდენობა. ყველა სტუდენტმა ერთდროულად, რომ მოინდომოს სტატუსის აღდგენა, რას მოიმოქმედებს კოლეჯი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს რაოდენობა დაგროვდა ბოლო 5 წლის განმავლობაში, ჯერ კიდევ დისტანციური სწავლების პერიოდიდან. თუ იქნა დიდი რაოდენობის აღდგენის შემთხვევები, კოლეჯი მიიღებს შესაბამის ზომებს, გამონახავს რესურსს, როგორც მატერიალურს, ასევე ადამიანურს. ამისი მზაობა კოლეჯში არსებობს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრმაc დაამატა, რომ კოლეჯი მუშაობს რამდენიმე ცვლაში, აქვს ბევრი აუდიტორია, ასევე, ახალი ფართის დამატებაზეც მუშაობენ, ასე, რომ მზაობა დიდი რაოდენობით სტატუს შეჩერებულების აღდგენის შემთხვევაში, არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული სტატისტიკა არ მიაჩნიათ მთლად სწორად, მისი თქმით კოლეჯი უცილებლად გადახედავს ბაზებს.

დარგის ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს როგორც განმახორციელებლების, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის მაღალ დონეს, მატერიალური გარემოც სრულად უზრუნველყოფილია. ექსპერტების აზრით, მიმდინარე პროგრამებზე აქტიური სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილება იყო განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი. ახალი პროგრამა დაიმატეს შესაბამისი კვლევების საფუძველზე. მაღალია მოთხოვნა ამ პროგრამაზე, გამოცდილებაც არსებობს, კოლეჯი ვებტექნოლოგიების პროგრამას წარმატებით ახორციელებდნენ.

კოლეჯის წარმომადგენელმა დაამატა, რომ კოლეჯში ყველა პროგრამას მართავენ დარგის სპეციალისტები. საფინანსო სერვისების, ფარმაციისა და საექთნო საქმის პროგრამების ფარგლებში კოლეჯს აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები. ისისნი იღებენ ვალდებულებას, დაასაქმონ კურსდამთავრებულები, რაც რეალურად ხორციელდება. განსაკუთრებით

აღსანიშნავია პსპ-სა და ლიბერთი ბანკთან თანამშრომლობა. კოლეჯში მათ მოწყობილია შესაბამისი გარემო, ეს არის საუკეთესო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (ს/კ:201990881) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს ინტერბიზნესის აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

მესამე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა შარაბიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.04.2025 წლის №431173 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: 1. ნანა შარაბიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე); 2. ჯილდა აბაშიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); 3. ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); 4. თეა ბარამაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) „გრაფიკული დიზაინი“; 5. თორნიკე თუთარაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფს დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების „შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლის სტატუსის მოპოვების მიზნით, პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი შპს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში (მის. საქართველო, ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ №20) 2025წლის 20,21 და 22 მაისს (ნანა შარაბიძე და ჯილდა აბაშიძე), ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა 21 მაისს, ხოლო თეა ბარამაშვილმა და თორნიკე თუთარაშვილმა 22 მაისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ნანა შარაბიძემ და ჯილდა აბაშიძემ შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I,III,IV,V) შესაბამისობა, ხოლო 22 მაისს დარგის ექსპერტებთან თეა ბარამაშვილთან და თორნიკე თუთარაშვილთან ერთად დაწესებულების ორი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა 21 მაისს განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი-ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა (ფილოსოფია), ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს,

სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. პროფესიული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიული 28 მასწავლებელი, მათ შორის 10 ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელი. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები დასაქმებულები არიან ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაშიც, შესაბამისად გადამოწმდა მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა, აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა როგორც ზოგად, ისე პროფესიული განათლების დაწესებულებაში შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელონ სასწავლო პროცესი. რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (ინტეგრირებული მოდულები), კერძოდ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი- სრულად არის აღჭურვილი. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის გამტარიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა დამატებით მტკიცებულების სახით- დეტალური განრიგი, რომელშიც გაწერილია სპორტული დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია დროის რა პერიოდში იქნება გამოყენებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის. განრიგის შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული და შესაძლებლობას იძლევა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული პროგრამები განხორციელდეს შეუფერხებლად. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესაძლებელს ხდის სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. დასკვნა - ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე შესაძლებელია დაწესებულებამ ეფექტიანად დაგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ისე რომ არ შეუქმნას საფრთხე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე სივრცეები. ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, სკოლა საქმიანობას ახორციელებს ქალაქ ქუთაისში, აღმაშენებლის გამზ. №20-ში. (საკადასტრო კოდი - №03.04.25.158). მიწის ნაკვეთი (2121.00 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: შენობა N1 საერთო ფართი: 3300.04 კვ.მ; შენობა N2 საერთო ფართი: 317.57 კვ.მ საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „პროგრესი კაპიტალ გრუპს“ და 2024 წლის 29 ივლისის (ცვლილებით) იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემულია შპს „ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - სთვის, 9 წლის ვადით (გარდა პირველ სართულზე არსებული სასადილო ოთახის 192 კვ.მ ფართობისა და ბუფეტის 58 კვ.მ ფართობისა.). ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულების ორთავე მხარეს (,,მოიჯარე“ - ,,მეიჯარე“) წარმოადგენს შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლის მესაკუთრე და გენერალური დირექტორი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 05 დეკემბრის №MES 6 24 0001565161 გადაწყვეტილებით შპს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს (ს/კ: 212807550) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა

900-ით. შესაბამისად, სკოლას გააჩნია სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის შესაბამისი გარემო და მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. სკოლის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტის უფლებაა ისარგებლოს სკოლის სივრცეებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სპორტული ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო საშუალებებით, საგანმანათლებლო და სხვა დამხმარე რესურსებით; უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გასავლელად საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსით, სასწავლო მასალით, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის ბაზაზე (არსებობის შემთხვევაში). სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით „მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითარების მარეგულირებელი წესი", რომელიც არეგულირებს უშუალოდ პროფესიული განათლების მიმართულებით სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების გამოყენების საკითხებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს უსაფრთხო გარემოში. სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში, წარმოდგენილია ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა. დასკვნის მიხედვით შენობა-ნაგებობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოა. სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური. სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს ,,ჯეო სეიფთი" - თან. ხელშეკრულების საგანია: სკოლისთვის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება და აკრედიტებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების (ორი სპეციალისტი) გამოყოფა რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით ზედამხედველობას გაუწევენ დამკვეთის ობიექტს, მოამზადებენ რეკომენდაციებს შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონებისა და რეგლამენტების საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვს ,,პროფესიული განათლების მიმართულებით მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითარების მარეგულირებელი წესი". აღნიშნული წესის მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის საკითხებს. ასევე, წესი არეგულირებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვისა და ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის საკითხებს. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. სკოლის ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება შენობის ვიზუალური დათვალიერებით. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეული. ხელშეკრულება გაფორმებულია კვალიფიციურ კადრთან, რაც დასტურდება მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 21 დეკემბრის №02/194 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. სკოლაში ბიბლიოთეკის რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო რესურსის 100% გაციფრულებულია და აღრიცხულია ელექტრონული რესურსის ჟურნალში. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და

მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოება - საქმისწარმოების წესის მიხედვით ელექტრონული საქმისწარმოება - Eflow ინერგება ეტაპობრივად. სკოლის ვებ გვერდზე განთავსდება პროგრამების კატალოგი. ამ ეტაპზე განთავსებულია ანონსი. პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის თანამშრომელთა ფუნქცია - მოვალეობებით განსაზღვრულია ვებ. გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირისთვის კატალოგის მიწოდება. გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ყოველწლიური (ასევე საჭიროებისამებრ) განახლება. ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ შპს-ს გააჩნია საკუთარი კაპიტალი. ორგანიზაციის წესდება წარმოდგენილია თვითშეფასების №1 დანართის სახით. სკოლის ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. ამ ეტაპზე სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი ქმნის საფუძველს სკოლის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის. პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის დასაწყებად სკოლა იყენებს საკუთარ კაპიტალს. ასევე, მატერიალური რესურსი გადმოცემულია ,,კაპიტალ - გრუპს" მიერ, რომლის დამფუძნებელიც სკოლის გენერალური დირექტორის და შპს-ს მფლობელია. სკოლის სამოქმედო გეგმაში დაწესებულება ასახავს საჭირო ფინანსურ რესურსებს. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელებადია სკოლის ფინანსური რესურსით. სკოლას გააჩნია საკუთარი ფინანსური რესურსები და საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები"

ექსპერტის განცხადებით, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სკოლაში არსებული როგორც სასწავლო, ასევე მატერიალური რესურსით, რომელიც შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას - 40 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში) მათ შორის 40 ინტეგრირებული პროგრამისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ერთი A, ერთი B/C გარემო. A გარემო, რომელშიც განთავსებულია - 20 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დაფა, და პროექტორი. B/C გარემო სადაც განთავსებულია: 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, პროექტორი, დაფა, კარადა , და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა (Cisco-ს კომუტატორები/მარშუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და სხვა.) 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი. ყველა გარემოში მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 4 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი და 7 განმახორციელებელი - ზოგადი მოდულების სწავლებისთვის. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის სკოლას ჰყავს 15 განმახორციელებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის CISCO-ს ინსტრუქტორი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან

დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე ბიუჯეტი იმგვარად არის შემუშავებული რომ გათვალისწინებულია მისი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული პროგრამა უკვე ყველა წელია არის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხაში. ასევე, დამატებითი დაფინანსების წყაროა თანადაფინანსება. ბიუჯეტი დაანგარიშებული ერთი ჯგუფისთვის. არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია - 12 პროფესიული სტუდენტი. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია ასევე 12 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პარტნიორი საწარმო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა ,,პროგრესს“ შემუშავებული აქვს და გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №00004072 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული განათლების მიმართულებით მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითარების მარეგულირებელი წესი. წესი განსაზღვრავს, რომ სკოლა უფლებამოსილია პროფესიული განათლების მიმართულებით მიზნებისთვის წარმართოს სკოლის მატერიალური რესურსი, იმ პირობით, რომ აღნიშნულმა ხელი არ უნდა შეუშალოს სკოლას ზოგადი განათლების მიმართულებით საქმიანობაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში სკოლა ითვალისწინებს სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სარგებლობის შესაძლებლობას და იღებს გონივრულ გადაწყვეტილებას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება მაღალხარისხიანი სწავლება, როგორც ზოგადი, ასევე, პროფესიული განათლების საფეხურებზე. სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო გარემოები, რომლებიც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარსამართავად გამოიყენება, ასევე, პროგრამებისთვის განკუთვნილია ის ფართებიც, რაც ასევე ზოგადი განათლების მიზნებისთვის არის გამოყენებული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრულია: ერთი A გარემო, ერთი A /C გარემო, ერთი კომპიუტერული კლასი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი. ყველა გარემოში მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე. ამასთან, მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით ,,გრაფიკული დიზაინი“ რეკომენდებულ რესურსის ჩამონათვალთან. სკოლას იჯარით შენობა აღებული აქვს შპს ,,კაპიტალ გრუპს“-გან და პროგრამისთვის მატერიალური რესურსიც სწორედ აღნიშნული საზოგადოების რესურსით იქნა შეძენილი და გადმოცემული სკოლისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - ,,გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრული სასწავლო გარემოთა რაოდენობა, მათი გამტარიანობა და თითოეულ გარემოში 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის“ ფარგლებში გათვალისწინებულია - 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 6 განმახორციელებელი გათვალისწინებულია პროფესიული მოდულების სწავლებისთვის, 7 განმახორციელებელი - ზოგადი მოდულების სწავლებისთვის. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის სკოლას ჰყავს 15 განმახორციელებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური

სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პარტნიორი საწარმო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რამდენადაც დასკვნა დადებითია და დაწესებულებაც ახალია და საქმიანობა აქამდე არ განუხორციელებია, უფრო საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა სკოლამ დაემატებინა პროფესიული პროგრამები და არის თუ არა ეს მისიაში ასახული.

ექსპერტის განმარტებით, მისიაში 2023 წელს განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, ჯერ ბათუმის ლოკაციაზე განთავსებულ სკოლაში დაიმატეს პროფესიული პროგრამა, ახლა უკვე, ქუთაისში, ეს მიდგომა იმანაც განაპირობა, რომ ზოგადად განათლების სამინისტროსთვის პრიორიტეტია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფესიული პროგრამების შეტანა და სკოლამაც გადადგა ეს ნაბიჯი, რადგანაც ახალი გამოწვევები ყოველთვის საინტერესოა. ეს ისეთი პროგრამებია, რომლებიც ქუთაისის ფარგლებში არ ხორციელდება, მით უმეტეს, რომ ეს კერძო სკოლა ერთ-ერთი წარმატებული სკოლაა ქუთაისში. ინტეგრირებულ პროგრამაზე პირველ რიგში თავის მოსწავლეებს ჩარიცხავენ, დამატებით, სხვა სკოლებსაც გაუხსნიან კარს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი, დაინტერესდა, განახორციელა თუ არა სკოლამ რაიმე ღონისძიებები განმახორციელებლების განვითარების მიმართულებით.

ექსპერტის განმარტებით, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები ამავე სკოლის მასწავლებლები არიან, რომელთა კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს, რაც შეეხება პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს, ერთი-ორი განმახორციელებლის გარდა, დარგის გამოცდილი მასწავლებლები არიან, ამავე დროს, სკოლამ უკვე განახორციელა ყველა განმახორციელებლისთვის ტრენინგები პროფესიულ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კოლეგიალური დამოკიდებულებისთვის, აღნიშნა, რომ ეს სიახლე სკოლის მისიაში ჯერ კიდევ ერთი წლის წინ აისახა, ბათუმის სკოლაში დაიმატეს გასულ წელს და ეხლა აპირებენ ქუთაისის რეგიონის მოსწავლეებსაც მისცენ შესაძლებლობა დაეუფლონ პროფესიებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ,,ქართულ-ამერიკული საერთაშორისო“ სკოლა პროგრესისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს (ს/კ:212807550) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 17 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:08 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული მზამავლსმეღლა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	12
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	14
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	16
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	32
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი ქ. N20
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი ქ. N20
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118